



Invitation for Bids

# მოწვევა სატენდერო წინადადებების შემოტანაზე

თარიღი: 2020 წ. 14 მაისი.

სესხის/გრანტის და დასახელება: **3441 GEO** - ურბანული მომსახურებების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - ტრანში 6

კონტრაქტის და დასახელება: **UWSCG-NCB-Billing-G-05-2019** - აღჭურვილობის შესყიდვა ბილინგის დეპარტამენტისათვის

სატენდერო წინადადებების შემოტანის ბოლო ვადა: **2020 წ. 15 ივნისი, 15:00 (თბილისის დროით)**

- საქართველომ აზიის განვითარების ბანკისაგან (ADB) მიიღო ურბანული მომსახურებების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამის მე-6 ტრანშის დაფინანსების სესხი. დაგეგმილია, რომ დაფინანსების თანხის ნაწილი გამოყენებული იყოს ზემოხსენებული კონტრაქტის ფარგლებში გადახდების მიზნით. ტენდერი ღიაა პრეტენდენტებისათვის აზიის განვითარების ბანკის უფლებამოსილი ქვეყნებიდან.
- საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია (**UWSCG**) („შემსყიდველი“) იწვევს ელექტრონულ სატენდერო წინადადებებს უფლებამოსილი პრეტენდენტებისაგან **საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით** ბილინგის დეპარტამენტისათვის საჭირო აღჭურვილობის შესყიდვის მიზნით.

საქონლისა და დაკავშირებული მომსახურებების მოკლე აღწერა შემდეგია:

	საქონლის ან დაკავშირებული მომსახურებების დასახელება	აღწერა	განზომილებების ერთეული	რაოდენობა
1	გაყონვების მობილური დეტექტორი	ხელის გაყონვების დეტექტორი ინტეგრირებული სენსორითა და უსადენო ყურსასმენებით	კომპლექტი	13
2	მობილური ელექტრომაგნიტური ხარჯმზომი	მიწოდებისა და მოცულობის საზომი სისტემა, მათ შორის, წყლის ბაიპასის/გაზომვის წრედი, ეწყობა ლითონის გალიაში მობილურ მზომ ხელსაწყოდ გამოსაყენებლად. წყლის მზომი წრედი აღჭურვილია B დაერთებებითა და ამპრაჟი ურდულით. ხარჯის გაზომვა	კომპლექტი	1

		ეფუმნება მაგნიტურ ინდუქციურ ხარჯმზომს.		
3	ჰიბრიდული კორელატორი	<p>ჰიბრიდული კორელატორი გაჟონვების დაფიქსირებისათვის, ონლაინ (რეალურ დროში გაზომვისა) და ოფლაინ (დამით გაზომვის) გაზომვის შესაძლებლობით.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>უნდა ჰქონდეს მსუბუქი კორპუსი მარტივი მართვისათვის და მარტივი მუშაობის პრინციპი სენსორული ეკრანით.</li> <li>თავსებადია პლასტმასის მილებზე გაჟონვების დაფიქსირებისათვის, სადაც ხმის გავრცელება დაბალია.</li> <li>უნდა ჰქონდეს ადგილის ზუსტად დაფიქსირების სენსორები.</li> <li>უნდა ჰქონდეს მიწის მიკროფონი.</li> <li>კომპიუტერული პროგრამა გაზომვების პროგრამირებისათვის, წაკითხვისა და ანალიზისათვის.</li> </ul>	კომპლექტი	1
4	მიწისქვეშა ხაზების დეტექტორი	მიწისქვეშა მილის ლოკატორი ელ. მაგნიტური ტალღებით (მილები და კაბელები 6 მ სიღრმემდე, ნავიგატორით, კაბელებისა და სხვა მიწისქვეშა ობიექტების მაღალი გარჩევადობით).	კომპლექტი	3
5	ხმის კორელაციის ლოგერი	აკუსტიკური ლოგერების კომპლექტები რეტრანსლირების შესაძლებლობითა და GSM ყუთით (სპეციალური პროგრამით ცენტრალურ კომპიუტერზე	კომპლექტი	3

		<p>მონაცემების ავტომატურად გადაცემის შესაძლებლობით) უნდა დამონტაჟდეს წყალმომარაგების ქსელში. მისი მთავარი ფუნქციაა ხმაურის ჩაწერა, რომლის ზუსტი ვიზუალიზაცია უნდა მოხდეს მოსაწოდებელი კომპიუტერული პროგრამით. ლოგერებს უნდა ჰქონდეს კორელაციის ფუნქცია პოტენციური გაჟონვის ადგილის ზუსტი დაფიქსირებისათვის ლოგერიდან გამოსული ხმის მიხედვით. შესაძლებელი უნდა იყოს ხმაურის ლოგერების დისტანციური კონფიგურაცია. კომპიუტერული პროგრამა და კაბელები შედის მოსაწოდებელ პაკეტში.</p>		
6	მილსადენების მონიტორინგის სისტემები	<p>სწრაფი და მარტივი პროგრამირების შესაძლებლობა</p> <p>ინსტალაციის (მონტაჟის) მცირე დრო</p> <p>გასაზომი პარამეტრების დისტანციური კონფიგურირება</p> <p>სისტემა შედგენა სამი ცალკეული კომპონენტისაგან, როგორცაა GSM გადამცემი, მონაცემთა ლოგერი და ძლიერ სენსიტიური ჰიდროფონის სენსორი</p>	კომპლექტი	5
7	მონაცემთა მართვის ციფრული ლოგერის ინტერფეისი	<p>ყველა ლოგერის პროგრამირება და წაკითხვა</p> <p>ხმაურის ლოგერის ქსელების ინსტალაცია და მოვლა-პატრონობა</p> <p>ოფლაინ კორელაცია მულტისენსორებით</p> <p>მონაცემთა გადაცემა FTP სერვერზე LTE / UMTS ფლემ-დრაივით***</p>	კომპლექტი	2
8	ავარიის (დეფექტის) ლოკატორი	<p>გაუმართაობის(ავარიის) ადგილის დადგენის სისტემა, ელ. ენერჯის მოპარვა, უკანონო დაერთება</p>	კომპლექტი	3

9	<p>გაჟონვების ელექტროაკუსტიკური დაფიქსირება მიწის მიკროფონით, სენსორის ღერძითა და მგეზავი გაზით</p>	<p>სრულიად უსადენო Bluetooth®-ს მეშვეობით</p> <p>ინტუიციური მუშაობა ფერად სენსორულ დისპლეიზე</p> <p>გამოყენებისათვის მუდამ მზად ლითიუმის იონის დატენვადი ელემენტების (აკუმულატორის) წყალობით</p> <p>ინტეგრირებული GPS მიმღები (რესივერი)</p> <p>გარემო/გარეშე ხმების შემცირება</p> <p>სიხშირის ანალიზი</p>	კომპლექტი	3
10	<p>დინამიკური ძრავის ანალიზატორი</p>	<p>ძლიერი ხელსაწყო, რომელიც გამოიყენება სამშენებლო მოედანზე ნორმალური დატვირთვის პირობებში მუშა ძრავის ანალიზისათვის. ის იღებს სხვადასხვა ტიპის მონაცემებს, რათა გამოავლინოს ტენდენციები, რომლებიც პოტენციურ პრობლემებზე მიუთითებს.</p> <p>იზომება ძაბვა და დენი და შემდეგ გამოითვლება პარამეტრების რიგი, მათ შორის, სიმძლავრის ხარისხი, როტორის ღეროს მდგომარეობა, დატვირთვის %, მუშაობის ეფექტურობის %, მგრები მომენტის საშუალო სიდიდე, მგრები მომენტის პულსაცია სხვადასხვა პროცესებში ცვლილებების ჩვენებით, გამშვები გარდამავალი სიდიდეების (ვოლტი, დენი, მგრები მომენტი) მონიტორინგი და ბევრი სხვა.</p>	კომპლექტი	2
11	<p>ჰორიზონტალური CCTV პატარა და საშუალო მიწებისათვის</p>	<p>ინსპექტირების კამერის სისტემა მილსადენებისათვის; ყველაფერი ერთში მინი ინსპექტირების სისტემა ინსპექტირების მოქნილი რანჟირებით: შიდა სადრენაჟო ილები, საცხოვრებელი მილგაყვანილობა, შიდა</p>	კომპლექტი	3

	<p>კომერციული მილები და საკანალიზაციო ღარები DN100 დიამეტრამდე.</p> <p>კომპლექტში შედის:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კოჭი</li> <li>• შტანგა</li> <li>• მართვის მოდული</li> <li>• კამერა</li> </ul>		
--	---	--	--

3. მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავს **არა მხოლოდ** შემდეგს:

**საშუალო წლიური ბრუნვა:** მინიმალური საშუალო წლიური ბრუნვა **687,000.00 აშშ დოლარის** ოდენობით, რომელიც გამოითვლება ბოლო **3 (სამი)** წლის (2017, 2018, 2019) განმავლობაში დასრულებული ან მიმდინარე კონტრაქტების ფარგლებში პრეტენდენტის მიერ მიღებული თანხების ჯამით (ერთიანი საწარმოს შემთხვევაში: თითოეულმა პარტნიორმა უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნის 25%, ხოლო ერთმა - 40%);

**საკონტრაქტო გამოცდილება:** ბოლო **3 (სამი)** წლის განმავლობაში სულ მცირე **2 (ორი)** კონტრაქტის წარმატებით დასრულება თითოეული **366,400.00 აშშ დოლარის** ოდენობის ღირებულებით, რომელთა ბუნებაც და სირთულე მე-6 სექციაში (მოწოდების გრაფიკი) აღწერილი მოწოდების მოცულობის მსგავსია (ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში: ყველა პარტნიორმა ერთად უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნა);

4. სახელმწიფო კონკურენტუნარიანი ტენდერი ჩატარდება **საქართველოს ელექტრონული შესყიდვის სისტემით** ADB-ს ერთეულებზე: ერთკონვერტიანი სატენდერო პროცედურის მიხედვით და ღია ყველა პრეტენდენტისათვის უფლებამოსილი ქვეყნებიდან, როგორც სატენდერო დოკუმენტებშია განსაზღვრული.
5. დამატებითი ინფორმაციის მოპოვებისა და სატენდერო დოკუმენტების შემოწმების მიზნით პრეტენდენტებმა უნდა იხილონ საქართველოს ელექტრონული შესყიდვის სისტემის გვერდი - [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)
6. სატენდერო დოკუმენტების ჩამოტვირთვა უფასოდ ინგლისურ ენაზე შესაძლებელია საქართველოს ელექტრონული შესყიდვის სისტემის გვერდიდან 2020 წ. 14 მაისიდან 2020 წ. 15 ივნისამდე.
7. სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს **საქართველოს ელექტრონული შესყიდვის სისტემით** 2020 წლის 15 ივნისამდე/ივნისს, (15:00) (თბილისის დროით). პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადების ფასი უნდა მიუთითონ ელექტრონულ ველში **საქართველოს ელექტრონული შესყიდვის სისტემაში**; ამის არ გაკეთების შემთხვევაში მოხდება ასეთი სატენდერო წინადადების უარყოფა. პრეტენდენტმა **სატენდერო წინადადების გარანტია ელექტრონულად უნდა წარმოადგინოს, ხოლო დედანი** - საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ოფისში სატენდერო წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადამდე. სატენდერო წინადადებები გაიხსნება ელექტრონულად **საქართველოს ელექტრონული შესყიდვის სისტემაში** 2020 წლის 15 ივნისს, 15:00 (თბილისის დროით).